ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 263

“9” ივნისი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2019 წლის 8 თებერვლის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №E-446-15-23098 ოქმითა (ადმინისტრაციული დაპირება) და 2019 წლის 28 თებერვლის №26392 და №26393 საკუთრების მოწმობებით გათვალისწინებული პირობების გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ.“ ქვეპუნქტის, 127² მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე, ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2019 წლის 8 თებერვლის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №E-446-15-23098 ოქმითა (ადმინისტრაციული დაპირება) და 2019 წლის 28 თებერვლის №26392 და №26393 საკუთრების მოწმობებით გათვალისწინებული პირობების გაუქმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 17 მაისის №23.675.764 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გაუქმდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2019 წლის 8 თებერვლის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №E-446-15-23098 ოქმითა (ადმინისტრაციული დაპირება) და 2019 წლის 28 თებერვლის №26392 საკუთრების მოწმობით, №01.17.01.027.019 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ 532 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (დღეის მდგომარეობით, №01.17.01.027.032) გათვალისწინებული პირობა - „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განაშენიანება განხორციელდეს ჩარჩო გეგმის ფარგლებში“.

2. გაუქმდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2019 წლის 8 თებერვლის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №E-446-15-23098 ოქმითა (ადმინისტრაციული დაპირება) და 2019 წლის 28 თებერვლის №26393 საკუთრების მოწმობით, №01.17.01.027.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ 360 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (დღეის მდგომარეობით, №01.17.01.027.032) გათვალისწინებული პირობა - „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განაშენიანება განხორციელდეს ჩარჩო გეგმის ფარგლებში“.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე